

მიკროძოვებულ მტკიცებულებაზე დაფუძნებული მონეტარული პოლიტიკა

ეგნატე შამუგია*

შესავალი

ცენტრალური სოციალური მგეგმავი ეკონომიკაში გადაწყვეტილებებს იღებს, რომელიც ადამიანების კეთილდღეობაზე მოქმედებს. სოციალური მგეგმავის გადაწყვეტილება განსაზღვრავს რესურსების ალოკაციას, შემოსავლების განაწილებასა და მთელ რიგ საკითხებს, რომელიც ადამიანთა ყოველდღიურობას უკავშირდება. ერთ-ერთი ასეთი მეტად ცენტრალიზებული და ფართო გავლენის მქონე სოციალური მგეგმავი ცენტრალური ბანკია (საქართველოს შემთხვევაში ეროვნული ბანკი), რომლის გადაწყვეტილება მთლიან საზოგადოებაზე მოქმედებს და ადამიანთა ბედს განსაზღვრავს.

უმეტეს ქვეყანაში ცენტრალური ბანკი ფართო ძალაუფლებით აღჭურვილი ბიუროკრატიული ორგანოა, რომლისთვისაც, უპირველესად, ფულის ბეჭდვის უფლებამოსილება და გაცვლის საშუალებაზე მონოპოლიაა დელეგირებული. სწორედ ამით უზემოქმედებს ეკონომიკაში რესურსების ალოკაციასა და შემოსავლების განაწილებაზე. გარდა ამისა, როგორც უკანასკნელი მსესხებელი, ეკონომიკაში პოტენციურ გამარჯვებულსა და დამარცხებულს განსაზღვრავს. სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტების საშუალებით, უზემოქმედებს კრედიტების გაცემასა და მის განაწილებაზე. ცენტრალური ბანკი არეგულირებს კომერციული ბანკების საქმიანობას და შესაბამისად, შეუძლია ფინანსურ ინსტიტუტებს დააკისროს სანქცია, მოითხოვოს მმართველი ორგანოს ცვლილება, მენეჯმენტი ჩაანაცვლოს მის მიერ დანიშნული ადმინისტრატორით ან საერთოდ, გააუქმოს კომერციული ბანკის საქმიანობის ლიცენზია. ფაქტობრივად, საფინანსო სექტორზე სრული კონტროლის მქონე ორგანოა, რომლის მმართველობა, როგორც წესი, კოლეგიურია.

საქართველოში ეროვნულ ბანკში გადაწყვეტილების მიღების პროცესი განსხვავებულია, ვიდრე სხვა ცენტრალურ ბანკებში. ეროვნული ბანკის შემთხვევაში მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს ინდივიდუალურად, ცენტრალური ბანკის მმართველი იღებს, ხოლო უმაღლესი ორგანო - საბჭოს და მისი წევრების როლი მონეტარული და პრუდენციული პოლიტიკის გატარებაში მინიმალურია. მოკლედ რომ ვთქვათ, ეროვნულ ბანკი ფართო ძალაუფლებით აღჭურვილი არადემოკრატიული, ბიუროკრატიულ-ტექნოკრატიული ადმინისტრაციული ერთეულია.

* კვლევითი ინსტიტუტის Gnomon Wise-ის („გნომონ ვაიზი“) მკვლევარი, e-mail: e.shamugia@ug.edu.ge

მომდევნო ნაწილებში განხილული იქნება ეკონომიკური მოდელები და მათი როლი გადაწყვეტილების მიღებაში, ეკონომიკური თეორიების და დაშვებების ემპირიული შემოწმება და არსებული ემპირიული ლიტერატურის მიკერძოება, რომელთა დაყრდნობით ცენტრალური ბანკი იღებს გადაწყვეტილებას ან უკვე მიღებულ გადაწყვეტილებას ამართლებს.

სოციალური მგეგმავი

კეთილდღეობის ეკონომიკის პერსპექტივაში, სოციალური მგეგმავი გადაწყვეტილების მიმღებია, რომელიც ცდილობს გადაწყვეტილების შედეგი ყველასთვის საუკეთესო იყოს. ნებისმიერი „კეთილი“ სოციალური მგეგმავის მიზანი სოციალური სარგებლის მაქსიმიზაციაა. იდეალურ შემთხვევაში სარგებლის მაქსიმიზაცია იმ პირობებში, სადაც ერთი ინდივიდის მდგომარეობის გაუმჯობესება ისე უნდა მოხდეს, რომ მინიმუმ, სხვისი მდგომარეობა არ გაუარესდეს. თუმცა, ეს ცენტრალური ბანკის შემთხვევაში a-priori ვერ შესრულდება, რადგან თანამედროვე (ნაწილობრივი დარეზერვება) საბანკო სისტემაში, მონეტარული პოლიტიკის შედეგი ეკონომიკაში ფასების საერთო დონის ცვლილებაა. ფასების დონის ცვლილების შედეგი შემოსავლების თვითნებური და შემთხვევითი გადანაწილებაა (Romer and Romer, 1998; Dolmas et al., 2000; Bagchi et al., 2019; Mumtaz and Theophilopoulou, 2020), სადაც ერთის მდგომარეობის გაუმჯობესებით, მეორის მდგომარეობა უარესდება. თუმცა, თეორიულადაც ნაკლებად მოსალოდნელია, რომ გადანაწილებაში „მოგებულების“ ზღვრული სარგებელი „წაგებულების“ ზღვრულ დანაკარგს აღემატებოდეს. მაგალითად, სხვა თანაბარ პირობებში, თუ ცენტრალური ბანკის ფულის მიწოდებას ზრდის, ეს ფასების დონის ზრდას - ინფლაციას იწვევს. ინფლაცია იმგვარი გადასახადია, სადაც შედარებით დარიბი უმრავლესობა, მდიდარი უმცირესობის სუბსიდირებისთვის იბეგრება.

მიუხედავად ამისა, სოციალური მგეგმავი სათანადო ინფორმაციითა და ცოდნით უნდა იყოს აღჭურვილი, რათა უზრუნველყოს საზოგადოების კეთილდღეობის გაფართოება. შესაბამისად, ცენტრალური ბანკსაც ასეთი ნიშან-თვისები უნდა ახასიათებდეს. თუმცა, მსგავსად სხვა ცენტრალური მგეგმავებისა, ბანკები ამგვარ ცოდნას მოკლებულნი არიან. მაგალითად, მონეტარული გადაწყვეტილებები მოთხოვნის მხარის პოლიტიკაა. რიგ შემთხვევაში ცენტრალური ბანკირების განმარტებით, მონეტარული პოლიტიკა აქტიურია მაშინ, როცა ეკონომიკაში ფასების საერთო დონის ცვლილება მოთხოვნის ფაქტორებს უკავშირდება და პასიურია, როცა ეს უკანასკნელი მიწოდების შოკის შედეგია. ზოგიერთი ახალი კინზიანელი ავტორების მსჯელობაც ამას მიუთითებს (Aoki, 2001; Benigno, 2004; Blanchard and Galí, 2007). მიიჩნევა, რომ თუ ეკონომიკაში ფასების დონის ზრდა მიწოდების

შოკით არის გამოწვეული, მაშინ მონეტარული პოლიტიკის ინტერვენციის შედეგად, სოციალური კეთილდღეობის დანაკარგები უფრო მაღალი იქნება, ვიდრე სარგებელი. თუმცა, ამისთვის საჭიროა ინტერვენციამდე და მის შემდეგ სარგებლისა და დანაკარგების გაზომვა და შედარება, რაც პრაქტიკულ შესაძლებლობას მოკლებულია.

სწორედ, გაზომვის შესაძლებლობის არ მქონე ცვლადების შემცველი ეკონომიკური მოდელებით ხელმძღვანელობენ ცენტრალური ბანკები. ეს ცვლადები კი, პირობითად, მიწოდების და მოთხოვნის მხარეებად იყოფა. მონეტარული პოლიტიკა კი ამ უკანასკნელზე რეაგირებს, რაც პრაქტიკულად შეუძლებელ საქმესთან შეჭიდება.

მოთხოვნის გაზომვა შეუძლებელია, რადგან ძალიან აბსტრაქტული ცნებაა და მით უმეტეს, ერთობლივი მოთხოვნის, რომელიც მაკროეკონომიკური მოდელების ცენტრალური ცვლადია. მოთხოვნა განიმარტება როგორც მომხმარებლის სურვილი და მზადყოფნა მოცემულ ფასად შეიძინოს საქონელი და მომსახურების გარკვეული რაოდენობა. ვინაიდან, ამ უკანასკნელის გაზომვა შეუძლებელია, ეკონომისტები და მათემატიკოსები მაკროეკონომიკური მოდელების ემპირიული შემოწმებისა და პოლიტიკის ანალიზში ერთობლივი მოთხოვნის ნაცვლად, კერძო მოხმარებას, ინვესტიციებს, სამთავრობო ხარჯებს და წმინდა ექსპორტს იყენებენ. შედარებით მოკლევადიან პერიოდში კი - მთლიან გამოშვებას. მონეტარული ხელისუფლების გადაწყვეტილებები კი ასეთ მაკროეკონომიკურ მოდელებს ეფუძნება.

აუცილებელია ეკონომიკურ მოდელებსა და მათ ვალიდურობაზე საუბარი, რომელთა საშუალებით საჯარო მმართველობის პროცესში მიღებული გადაწყვეტილებები მართლდება. მათი განხილვა აჩვენებს თუ რა სტანდარტით და ცოდნაზე დაფუძნებით იღებს სოციალური მგეგმავი, ამ შემთხვევაში ცენტრალური ბანკი, გადაწყვეტილებას, რომელიც მთლიან საზოგადოებაზე - მათ შემოსავლებსა და ამ უკანასკნელის განაწილებაზე აისახება.

ეკონომიკური მოდელები

ეკონომიკური ფენომენის შესწავლის, პროცესის ჩვენებისა და გადაწყვეტილების შედეგების პროგნოზისთვის ეკონომისტები მოდელებს აგებენ. მათი პრეზენტაციისთვის, ძირითადად, მათემატიკურ ენას და გრაფიკულ ილუსტრაციებს იყენებენ. თავად მოდელები სხვადასხვაგვარ დაშვებებს ეფუძნება. ეკონომიკური მოდელების მთავარი პრობლემა სწორედ დაშვებებია. ეკონომიკური სკოლები და ცალკეული ეკონომისტები ერთმანეთში დაშვებების რეალისტურობაზე კამათობენ. მაგალითად, ადამიანების მიერ გადაწყვეტილების მიღება მათი რაციონალურობის დაშვებას ეფუძნება, მაგრამ ქცევითი

ეკონომიკის მიმდევრები ამგვარ პოზიციას ეწინააღმდეგებიან და ამტკიცებენ, რომ ადამიანები ზოგჯერ არარაციონალურ გადაწყვეტილებებსაც იღებენ.

მთელ რიგ დაშვებებს ეფუძნება მაკროეკონომიკური მოდელებიც. მაგალითად, უმეტესი მონეტარული პოლიტიკის მოდელი აგებულია იმ დაშვებით, რომ ფასები ხისტია. თუმცა, ზოგიერთი ეკონომისტი ამტკიცებს, რომ ფასებს სიხისტე არ ახასიათებს. ნაწილისთვის სიხისტის დონე განსხვავებულია, ნაწილისთვის სიხისტის პერიოდი და ა.შ. (Laidler, 1996). საზოგადოებრივი არჩევანის მოდელების ერთი ჯგუფი ეფუძნება დაშვებას, რომ მთავრობა „კეთილშობილია“, რომლის ინტერვენცია და პოლიტიკა თავისთავად შესაბამისობაშია მოსახლეობის პრეფერენციებთან. აღნიშნულის საპირისპირო მტკიცებაა, რომ პოლიტიკური ძალაუფლება „ლევიათანია“ (Brennan and Buchanan, 1977; 1980). მთავრობა არა „კეთილშობილი“, არამედ მონოპოლიური, შემოსავლის მაქსიმიზაციაზე ორიენტირებული ერთეულია. ეს უკანასკნელი კი ინდივიდების გადაჭარბებული დაბეგვრის ხარჯზე მიიღწევა.

ამ პერსპექტივიდან ისეთი ეკონომიკური მოდელები, რომელიც მთავრობის აქტიური ჩარევისკენაა მიმართული, პოლიტიკური ძალაუფლების მხარდაჭერით სარგებლობენ და შესაბამისად, ასეთი მოდელები მთავრობების პირდაპირი თუ ირიბი ძალისხმევით დომინანტური ხდება. ხშირ შემთხვევაში ისე, რომ მათ არანაირი ემპირიული მხარდაჭერა არ გააჩნიათ. ეს მოდელების გამოიყენება ex-ante გადაწყვეტილების დროს ან ex-post მიღებული გადაწყვეტილების გამართლებისთვის. ამდენად, მნიშვნელოვანი საკითხია ეკონომიკურ თეორიების და მოდელების რიგი დაშვებების ემპირიული შემოწმება - მათი ვალიდურობის ან უარყოფისთვის მტკიცებულებების მოპოვება.

ეკონომეტრიკის როლი

ბოლო ათწლეულების აკადემიური სტატიები უფრო მეტად ემპირიულ მტკიცებულებების მოპოვებას ეძღვნება, სადაც საკომუნიკაციო ენა მათემატიკაა. როგორც ზემოთ ვახსენეთ, ეკონომისტები მათი მოდელების აღწერისა და პრეზენტაციისთვის აბსტრაგირების საშუალებას - მათემატიკას იყენებენ. შესაბამისად, უფრო მეტად ეკონომიკური მოდელები მათემატიკური ენითაა ჩაწერილი, ხოლო მოდელის დაშვებებიც ამ სახით არის წარმოდგენილი. სწორედ აქ ჩნდება ეკონომეტრიკის როლი, რომელიც ეკონომიკაში პენეტრირებული მათემატიკა და სტატისტიკაა. ეკონომეტრიკის დანიშნულება, უპირველესად, ეკონომიკური მოდელის იმგვარი ფორმულირებაა, რომლის შემდეგ მისი ემპირიული შემოწმება შესაძლებელი გახდება. მაგალითად, წარმოების მოდელი წარმოდგენილია, როგორც შრომის და კაპიტალის ფუნქცია $y=f(L,K)$. თეორიულად ეს ასეა, მაგრამ აღნიშნულის ემპირიული შემოწმება და პროსპექტული გამოყენება შეუძლებელია. მიზეზი მოდელში გამოყენებული ცვლადების გაზომვას უკავშირდება. მაგალითად, თუ რა

ერთეულში უნდა გაიზომოს კაპიტალი და მისი ჰეტეროგენულობის პრობლემა. ეს პრობლემა უფრო მეტად მწვავედება მაშინ, როცა საქმე ეხება მაკრო დონეს და იწყება მისი პრაქტიკული გამოყენება.

ხსენებული წარმოების მოდელი ეკონომეტრიკული სახით ასე შეგვიძლია ჩავწეროთ: $y = a + bL + bK_1 + bK_2 + bK_3 + \dots + bK_n + e$. თუმცა, ამ სახით განტოლება არარეალურად გამოიყურება, რადგან შრომისა ან კაპიტალის ნულოვანი მაჩვენებლის შემთხვევაში, ფიზიკურად შეუძლებელია გამოშვება არსებობდეს. მეორე მარტივად ხილული პრობლემა კაპიტალის ცვლადია, რომელიც გაზომვას და ჰეტეროგენულობის პრობლემის გადაწყვეტას საჭიროებს. ეს კი პრაქტიკაში შეუძლებელია. ვინაიდან, რიგ ეკონომიკურ მოდელში ცვლადების გაზომვა პირდაპირ შეუძლებელია, მას სხვა გაზომვადი შუამავალი ცვლადებით ანაცვლებენ. ასეთი რამ კონკრეტულ ეკონომიკური მოდელს რეალურ სამყაროსთან კიდევ უფრო მეტად ამორებს და პრობლემას ამწვავებს. შუამავალი ცვლადები უხვად გამოყენებულია მონეტარული პოლიტიკის მოდულებსა (Rudd and Whelan, 2007; Stock and Watson, 2008; Abbas et al., 2016) და ცენტრალური ბანკის პროსპექტული გამოყენების შემფასებლებში. მაგალითად, საშუალოვადიანი პერიოდის ინფლაციის პროგნოზისთვის, ცენტრალური ბანკების მიერ, ხშირად ახალი ჰიბრიდული ფილიპის მრუდის ტიპის განტოლება გამოიყენება, რომელიც მიწოდების შოკსაც მოიცავს. ამ უკანასკნელის შუამავალ ცვლადად ნავთობსა და სურსათზე ფასების ცვლილებაა გამოყენებული. აღნიშნული კი თავად ფასების საერთო დონის ცვლილების ნაწილია. ასეთ მოდელს იყენებს საქართველოს ცენტრალური ბანკი პროგნოზების და მასზე დაფუძნებული მონეტარული გადაწყვეტილებისთვის (Tvalodze et al., 2016).

პუბლიკაციის მიკერძოება

მაკროეკონომიკური მოდულების ვალიდურობის შემოწმებასა და მასზე დაფუძნებული პოლიტიკის კუთხით, ზემოთ არსებული პრობლემური საკითხების მიღმა, არსებობს ემპირიულ ლიტერატურაში ფართოდ გავრცელებული და საკმაოდ მწვავედ გამოვლენილი პუბლიკაციის მიკერძოების შემთხვევები (Brodeur et al., 2016; Ioannidis et al., 2017; Blanco-Perez and Brodeur, 2020). პუბლიკაციის მიკერძოების მიზეზი უამრავი რამ შეიძლება იყოს, რომელიც პირობითად, I და II კატეგორიის მიკერძოებად იყოფა. ამაზე წუხილი კი ადრეულ პერიოდს უკავშირდება (Tullock, 1959).

ცვლადის გაზომვის შეცდომა, გამოტოვებული ცვლადის საკითხი, მოდულის ეკონომეტრიკული სპეციფიკის შერჩევა და სხვა მსგავსი საკითხები **პირველი კატეგორიის მიკერძოებაში** ერთიანდება. ამ კატეგორიის პუბლიკაციის მიკერძოების შედეგია, რომ ერთსა და იმავე ეკონომიკური ფენომენზე სხვადასხვა შრომებში განსხვავებული შეფასებაა.

ცვალდებს შორის კავშირი/გავლენის შეფასებები შეიძლება განსხვავდებოდეს ნიშნით, ზომით და სტატისტიკური მნიშვნელოვანებით. აღნიშნული შეიძლება გამოწვეული იყოს ცვალდების განსხვავებული გამოზვით, სხვადასხვა შუამავლის ცვალდის გამოყენებით, სხვადასხვა შემფასებლის შერჩევით და ა.შ. მაგალითად, მონეტარული პოლიტიკის მოდელების ემპირულად გამოთვლილი პარამეტრები განსხვავებული იქნება იმის მიხედვით, თუ რომელი ცვალდი იქნება ერთობლივი მოთხოვნის შუამავლად გამოყენებული.

გარდა ამისა, ერთსა და იმავე ფენომენზე ემპირულ ლიტერატურაში განსხვავებული შედეგების მიზეზი შეიძლება გამოტოვებული ცვალდის პრობლემა იყოს. ასეთ პრობლემა არსებობს მაშინ, როცა ეკონომეტრიკულ მოდელებში გამოტოვებულია მნიშვნელოვანი ცვალდი. კიდევ ერთი ფართოდ გავრცელებული მოვლენაა, როცა ერთსა და იმავე ცვალდებს განსხვავებული ურთიერთმიმართება აქვთ ან მათ შორის კავშირის დონეში მკვეთრი სხვაობაა. ამის მიზეზია შემფასებელი მოდელების სპეციფიკა. ერთი და იმავე ცვალდების გამოყენება, განსხვავებული სპეციფიკის მოდელებში განსხვავებულ შედეგს იძლევა. ამ მოდელებს კი თავად ავტორები ირჩევენ და ცდილობენ მათი ვალიდურობის ახსნას. შესაბამისად, ავტორის მიერ მოდელების ცვალდებს შორის კავშირის შემფასებლის შერჩევა მიდრეკილია იმისკენ, რომ თავად ავტორის მიერ უპირატესობა მინიჭებული პოზიციის ემპირიული მხარდაჭერა მიიღოს.

პუბლიკაციის **მეორე კატეგორიის მიკერძოება** დაკავშირებულია ავტორთა მიერ მიღებული შედეგების სტატისტიკურ მნიშვნელოვანებას და გაბატონებულ ეკონომიკურ თეორიასთან შესაბამისობასთან. თუ ეკონომიკური ფენომენის ემპირიული შესწავლის შედეგები სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ არის ან არ შესაბამეა გაბატონებულ თეორიას, შეიძლება ადგილი ჰქონდეს „ფაილი უჯრის“ პრობლემას (Rose and Stanley, 2005), რომელიც თავად ავტორის, ან ჟურნალის რედაქტორის, ან რეცენზიანტის ქმედების შედეგია. ერთი მხრივ, რედაქტორების და რეცენზიანტები შეიძლება მიდრეკილები იყვნენ მიიღონ სტატიები, რომლებიც შესაბამისობაშია კონვენციურ შეხედულებებთან. მეორე მხრივ, შეიძლება ავტორები იყენებენ ტრადიციულად მოსალოდნელ შედეგებს, როგორც მათ მიერ შერჩეული ეკონომეტრიკული მოდელების და შემფასებლის ვალიდურობის ტესტს. და ბოლოს, ყველას - როგორც ავტორებს, ასევე რედაქტორებსა და რეცენზიანტებს, შეიძლება „სტატისტიკურად მნიშვნელოვანი“ შედეგებისადმი ფავორიტული მოპყრობა ჰქონდეთ. ამ უკანასკნელისთვის ავტორები შეიძლება მიმართავდნენ „სპეციფიკის ძებნას“.

Leamer (1978) ხაზს უსვამს არა-ექსპერიმენტულ კვლევებში ავტორების „სპეციფიკის ძებნისკენ“ მიდრეკილებას.¹

ამა თუ იმ ეკონომიკურ თეორიის დომინანტობა ართულებს ემპირიული შედეგების დასაბუთებას, რომელიც ეწინააღმდეგება გაბატონებულ პოზიციას. ამიტომ ავტორებს შედარებით ნაკლებად სურთ წარადგინონ ისეთი შედეგები, რომელიც მკვეთრ წინააღმდეგობაშია ფართოდ მიღებულ თეორიასთან. ესე იგი, როდესაც არსებობს კონკრეტული ეკონომიკური ფენომენზე მონოპოლია², ავტორებს უფრო მაღალი ფასის გადახდა უწევთ წარადგინონ უფრო მძლავრი, უფრო დრამატული და სტატისტიკურად მნიშვნელოვანი შედეგები. ეს საკითხი Doucouliagos და Stanley (2011)-მა შეისწავლა, რომლებმაც აჩვენეს ეკონომიკური თეორიის საკამათობასა და სელექციურობას შორის პირდაპირი კავშირი. კერძოდ, ეკონომიკაში კვლევის 87 ცალკეული სფეროს ემპირიული ლიტერატურის ანალიზზე დაყრდნობით დაადგინეს, რომ ეკონომიკურ თეორიაში კონკურენციასა და პუბლიკაციის მიკერძოებას შორის უარყოფითი კავშირია. ავტორთან ანალიზი აჩვენებს, რომ კონკრეტული ეკონომიკური ფენომენის შესახებ რაც უფრო მეტად გაბატონებულია პოზიცია, ამ მიმართულების ემპირიული ლიტერატურა მით უფრო მეტი მიკერძოებით ხასიათდება. ხსენებულ სფეროებს შორის არის ე.წ. ტელიორის წესი - ინფლაცია და გამოშვების კომპონენტი³, რომელიც ავტორთა კლასიფიკაციით არასაკამათო, არაკონკურენტულია და ამავდროულად, ემპირიულად ნაჩვენებია, რომ ყველაზე მაღალი მიკერძოებით ხასიათდება. განსაკუთრებით აღნიშნული შესამჩნევია ინფლაციის ნაწილში.

საქართველოც ცენტრალური ბანკიც იზიარებს ტელიორისეულ მიდგომას, რაც წესებზე დაფუძნებული მონეტარული პოლიტიკის გატარება გულისხმობს. ეროვნული ბანკის პროგნოზირებისა და მონეტარული პოლიტიკის ანალიზის სისტემა მიუთითებს, რომ პოლიტიკა ეფუძნება ტელიორის ტიპის წესებს (Tvalodze et al., 2016).

¹ იგულისხმება, რომ არა-ექსპერიმენტულ ეკონომეტრიკულ კვლევებში ავტორები მიდრეკილნი არიან სასურველი შედეგი მიიღონ, რომლისთვისაც ეძებენ სპეციფიკას. აღნიშნული შეიძლება უშუალოდ მონაცემებს ან მოდელს უკავშირდებოდეს. Leamer (1978) გამოჰყოფს სპეციფიკის ძებნის ექვს სახეობას: ჰიპოთეზის ტესტირება - „ჭეშმარიტი მოდელის“ ძიება, ინტერპრეტირება - მრავალგანზომილებიანი მტკიცებულების ინტერპრეტაციის ძიება, სიმარტივე - „ნაყოფიერ მოდელის“ ძიება, შუამავალი - ცვლადის კოპიის ძიება, მონაცემთა შერჩევა - მონაცემთა ნაკრების ძიება, პოსტ მონაცემების მოდელი - მონაცემების მიღების შემდეგ მოდელის ძიება.

² იგულისხმება, რომ არსებობს გაბატონებული პოზიცია მოცემულ ეკონომიკური ფენომენზე, რომელსაც იზიარებს სამეცნიერო ჟურნალების რედაქტორები, რეზენციანტები და სხვა ავტორები.

³ იგულისხმება Taylor (1993)-ის გავლენიანი პუბლიკაციით მონეტარული განაკვეთის განსაზღვრის კრიტერიუმი. წესი მოიაზრებს, რომ ცენტრალური ბანკის მოკლევადიანი ნომინალური განაკვეთი ინფლაციის და გამოშვების გაპის ფუნქციაა. შესაბამისად, ტელიორის წესის ემპირიული შესწავლა გულისხმობს მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის გავლენის შემოწმება ინფლაცია და გამოშვების გაპზე.

კარიერული სტიმული

ბოლო ათეულში ექსპონენციურად გაიზარდა ემპირიულ ლიტერატურაში პუბლიკაციის მიკერძოების შესწავლა და აღნიშნულის კორექტირებით, მიკერძოების მიღმა ცვლადებს შორის კავშირის შეფასება (Havránek et al., 2020). ამ საკითხზე მიძღვნილი შრომები მიკერძოების „გლობალური“ მიზეზების ძიებასაც მოიცავს. Paldam (2018) მსჯელობს, რომ ეკონომისტები იქცვიან ისევე, როგორც პოლიტიკოსები და ბიუროკრატები. საზოგადოებრივი არჩევანის ეკონომისტები თვლიან, რომ პოლიტიკოსები და ბიუროკრატები არამხოლოდ სოციალური სარგებლის მაქსიმიზაციისთვის მუშაობენ, არამედ საკუთარი, სხვა ინტერესებიც აქვთ. ასეა ეკონომისტების შემთხვევაშიც, რომელთა მიზანი არამხოლოდ სიმართლის ძიებაა, არამედ სხვა ინტერესებიც ამოძრავებთ. ამ ინტერესებმა კი შეიძლება მათ მიერ ემპირიული შრომის შედეგების გაზვიადება გამოიწვიოს. Frey (2003) აღნიშნავს, რომ აკადემიურ სივრცეში წარმატება და არსებობის გაგრძელება დამოკიდებულია მაღალი რეფერირებად ჟურნალში სტატიების გამოქვეყნებაზე. თავად გამოქვეყნება კი - უცნობი რეცენზიანტების მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. ამდენად, პუბლიკაციის მიკერძოების მიზეზი შეიძლება ავტორთა კარიერული სტიმული იყოს.

პუბლიკაციის მიკერძოების შესწავლისას გამოჩნდა, რომ ეფექტის გაზვიადების და სტატისტიკურად მნიშვნელოვანი შედეგის ჩვენების საფუძველი შეიძლება კარიერული მიზნები იყოს. Doucouliagos et al. (2022)-მა დახმარების ეფექტიანობის ემპირიული ლიტერატურის მეტა-ანალიზით აჩვენეს, რომ კარიერული სტიმული გავლენას ახდენს პუბლიკაციის შესახებ გადაწყვეტილებაზე. დახმარების ეფექტიანობის ლიტერატურაში ხანდაზმული და ავტორიტეტული ავტორები უფრო ნაკლებად მიკერძოებულ შეფასებებს აქვეყნებენ, ვიდრე სხვები.

მიკერძოების არსებობით გამონაკლისი არც ცენტრალური ბანკების პოლიტიკის გავლენის შეფასება აღმოჩნდა. პუბლიკაციის მიკერძოება ახასიათებს მონეტარული პოლიტიკის ემპირიულ ლიტერატურას. რამდენიმე მეტა-ანალიზის საშუალებით ნაჩვენებია, რომ კონვენციური მონეტარული პოლიტიკის გავლენა (ფასების ზრდა და გამოშვება) დიდწილად დომინანტური პოზიციისკენ გადახრილი მიკერძოებით გამოირჩევა (Rusnák et al., 2013; Nguyen, 2019; Nguyen et al., 2021). საინტერესოა 2008-09 წლის კრიზისი შემდეგ, ცენტრალური ბანკების მიერ გატარებული არაკონვენციური მონეტარული პოლიტიკის⁴ შეფასების ტენდენციები.

⁴ არაკონვენციური პოლიტიკის ძირითადი ინსტრუმენტი რაოდენობრივი შემსუბუქებაა, რომლის გავლენა ინფლაციასა და გამოშვებაზე აქტიური შესწავლის საგანია. მკვლევართა ფოკუსი პოლიტიკის ინფლაციასა და გამოშვებაზე გავლენას უკავშირდება, ხოლო ამგვარი პოლიტიკის დამცველებს შორის თავად პოლიტიკის ავტორებიც არიან (Martin and Milas, 2012; Bernanke, 2020).

2008-09 წლების კრიზისის შემდეგ ცენტრალური ბანკების მიერ არაკონვენციური პოლიტიკა აქტიური გახდა, რომლის ემპირიულ შესწავლაც მომდევნო წლებში დაიწყო. ამგვარი პოლიტიკის ძირითადი ინსტრუმენტი რაოდენობრივი შემსუბუქებაა. Fabo et al. (2021)-ებმა სწორედ რაოდენობრივი შემსუბუქების ემპირიული ლიტერატურა შეისწავლეს. ავტორებმა 54 კვლევის შედეგების ანალიზით დაადგინეს, რომ ცენტრალური ბანკის შრომები⁵ რაოდენობრივი შემსუბუქების უფრო მეტ ეფექტიანობას აჩვენებს, ვიდრე აკადემიური შრომები⁶. კერძოდ, ცენტრალური ბანკის პუბლიკაციები აჩვენებს რაოდენობრივი შემსუბუქების უფრო დიდ გავლენას ინფლაციასა და გამომშვებაზე, ვიდრე სხვები. ხოლო, მათი კვლევები ასახავენ სტატისტიკურად მნიშვნელოვან ეფექტს გამომშვებაზე. არაკონვენციური პოლიტიკის მიზანი კი პოსტკრიზისულ პერიოდში გამომშვების ზრდისთვის ხელშეწყობა იყო. კიდევ ერთი საინტერესო და არსებითი მიგნებაა, რომ ცენტრალური ბანკის თანამშრომლებს, რომლებიც აჩვენებენ რაოდენობრივი შემსუბუქების მაღალ გავლენას გამომშვებაზე, აქვთ უკეთესი კარიერული შედეგები (Fabo et al., 2021).

პუბლიკაციის მიკერძოება არამხოლოდ მონეტარული პოლიტიკის, არამედ საბანკო ზედამხედველობის ნაწილშიც გამოვლენილია. Fidrmuc და Lind (2020) ბაზელი III -ის მაკროეკონომიკური გავლენის ემპირიული ლიტერატურა გააანალიზეს⁷. კერძოდ, კომერციული ბანკებისთვის მაღალი კაპიტალის (ბუფერების) მოთხოვნების მაკროეკონომიკური ფასის შესწავლის 48 კვლევაზე დაყრდნობით ჩატარებულმა მეტა-ანალიზმა გამოავლინა, რომ ემპირიული ლიტერატურა პუბლიკაციის მიკერძოებით ხასიათდება. ავტორები მიიჩნევენ, რომ მიზეზი შეიძლება იყოს ძლიერი კონსენსუსის არსებობა, რომ ბანკებზე კაპიტალის მოთხოვნების გამკაცრება უარყოფითად იმოქმედებს რეალურ ეკონომიკაზე. აღნიშნული შრომის კიდევ ერთი საინტერესო მიგნება ავტორთა მიხედვით, ემპირიულ ლიტერატურაში შედეგების საშუალო მაჩვენებლის განაწილებაა. მაგალითად, მინიმალური კაპიტალის მოთხოვნის გამკაცრება ეკონომიკაზე მცირე უარყოფითი გავლენითაა ნაჩვენები ისეთი ავტორების მიერ, რომლებიც საფინანსო სისტემის მარეგულირებელ ორგანოსთან (-0.060), საერთაშორისო სავალუტო ფონდთან (-0.141) და ცენტრალურ ბანკთან (-0.175) არიან ასოცირებული. ხოლო, პირიქით, მაღალი უარყოფითი გავლენა (-0.425) იმ ავტორების მიერ, რომლებიც საბანკო სექტორთან არიან დაკავშირებულნი.

⁵ იგულისხმება ისეთი შრომები, რომელიც ცენტრალური ბანკის მიერ გამოქვეყნდა ან ისეთი სტატიები, რომლის ავტორ(ებ)ს ცენტრალური ბანკის აფილიაცია აქვთ.

⁶ ცენტრალური ბანკის აფილიაციის გარეშე აკადემიურ ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიები.

⁷ საერთაშორისო დონეზე შეთანხმებული დონისძიებათა ნაკრები, რომელიც შეიმუშავა ბაზელის საბანკო ზედამხედველობის კომიტეტმა 2007-09 წლების გლობალური ფინანსური კრიზისის საპასუხოდ. წესები გულისხმობს ბანკებისთვის მინიმალური მოთხოვნების დაწესებას (კაპიტალის ადეკვატურობა). https://www.bis.org/bcbs/publ/d424_inbrief.pdf

დასკვნითი შენიშვნები

ცენტრალური ბანკის, როგორც სოციალური მდგმავის მონეტარული გადაწყვეტილება გონივრულ ეჭვის სტანდარტსაც ვერ აკმაყოფილებს, რადგან ასეთისთვის საჭირო მტკიცებულება მას არ გააჩნია. უფრო მეტიც, ერთი მხრივ, მის მიერ გამოყენებული ეკონომიკური მოდელები რეალურ სამყაროს აცდენილია, ხოლო მეორე მხრივ, ცენტრალური ბანკების მიერ გატარებული პოლიტიკის თეორიული ბაზისების ემპირიული შემოწმების ლიტერატურა პუბლიკაციის მიკერძოების პრობლემით გამოირჩევა. მიკერძოების მიზეზი რიგ შემთხვევაში კარიერული მიზეზია.

სწორედ, ასეთ პირობებში იღებენ ცენტრალური ბანკები მონეტარული პოლიტიკის გადაწყვეტილებებს, რომლის შედეგები მთლიან საზოგადოებაზე აისახება. ეს კი აშკარად პოლიტიკურ-სამართლებრივი პრობლემაა. თავად ბანკების ამგვარი ძალაუფლება ცოდნაზე დაფუძნებული ტექნოკრატიული-ბიუროკრატიული ადმინისტრაციის მიერ პოლიტიკის გატარებითაა გამართლებული. თუმცა, ეს უკანასკნელი სწორედ რომ სათანადო ცოდნისა და ინფორმაციის ნაკლებობას განცდის. მეორე მხრივ, მიღებული გადაწყვეტილებები ეფუძნება მტკიცებულებებს, რომელიც რიგი მიკერძოებებით ხასიათდება.

აქედან გამომდინარე, გაუმართლებელია ცენტრალური ბანკის, როგორც დემოკრატიული წესით არ-არჩეული ტექნოკრატიული-ბიუროკრატიული ადმინისტრაციისთვის ფართო მონეტარული ძალაუფლების დელეგირება, რადგან ამ უკანასკნელს არ გააჩნია პირდაპირი პოლიტიკური პასუხისმგებლობა და არ ახორციელებს წარმომადგენლობას. საქართველოში კი ეს პრობლემა უფრო მწვავედ დგას. განსხვავებით სხვა ცენტრალური ბანკებისა, ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკა კოლეგიური გადაწყვეტილება არ არის (შედარებით მაღალი ლეგიტიმაციის, რადგან უმაღლესი ორგანო საბჭო იქნება ეს თუ კომიტეტები, დაკომპლექტებულია პრეზიდენტის წარდგენით, პარლამენტის მიერ არჩეული წევრებით), რადგან მთელი მონეტარული ძალაუფლება ინდივიდუალურად ბანკის პრეზიდენტზეა დელეგირებული.

ბიბლიოგრაფია:

- Abbas, S. K., Bhattacharya, P. S. and Sgro, P. (2016). The new Keynesian Phillips curve: An update on recent empirical advances. *International Review of Economics & Finance*, 43, 378–403. <https://doi.org/10.1016/j.iref.2016.01.003>
- Aoki, K. (2001). Optimal monetary policy responses to relative-price changes. *Journal of Monetary Economics*, 48(1), 55–80. [https://doi.org/10.1016/s0304-3932\(01\)00069-1](https://doi.org/10.1016/s0304-3932(01)00069-1)
- Bagchi, S., Curran, M. and Fagerstrom, M. J. (2019, September). Monetary growth and wealth inequality. *Economics Letters*, 182, 23–25. <https://doi.org/10.1016/j.econlet.2019.05.036>
- Benigno, P. (2004). Optimal monetary policy in a currency area. *Journal of International Economics*, 63(2), 293–320. [https://doi.org/10.1016/s0022-1996\(03\)00055-2](https://doi.org/10.1016/s0022-1996(03)00055-2)
- Bernanke, B. S. (2020). The New Tools of Monetary Policy. *American Economic Review*, 110(4), 943–983. <https://doi.org/10.1257/aer.110.4.943>
- Blanchard, O. and Galí, J. (2007). Real Wage Rigidities and the New Keynesian Model. *Journal of Money, Credit and Banking*, 39, 35–65. <https://doi.org/10.1111/j.1538-4616.2007.00015.x>
- Blanco-Perez, C. and Brodeur, A. (2020). Publication Bias and Editorial Statement on Negative Findings. *The Economic Journal*, 130(629), 1226–1247. <https://doi.org/10.1093/ej/ueaa011>
- Brennan, G. and Buchanan, J. M. (1977). Towards a tax constitution for Leviathan. *Journal of Public Economics*, 8(3), 255-273. [https://doi.org/10.1016/0047-2727\(77\)90001-9](https://doi.org/10.1016/0047-2727(77)90001-9)
- Brennan, G. and Buchanan, J. M. (1980). *The power to tax: Analytic foundations of a fiscal constitution*. Cambridge University Press.
- Brodeur, A., Lé, M., Sangnier, M. and Zylberberg, Y. (2016). Star Wars: The Empirics Strike Back. *American Economic Journal: Applied Economics*, 8(1), 1–32. <https://doi.org/10.1257/app.20150044>
- Dolmas, J., Huffman, G. W. and Wynne, M. A. (2000). Inequality, inflation, and central bank independence. *Canadian Journal of Economics/Revue Canadienne D'Économique*, 33(1), 271–287. <https://doi.org/10.1111/0008-4085.00015>
- Doucouliafos, C. and Stanley, T. (2011). ARE ALL ECONOMIC FACTS GREATLY EXAGGERATED? THEORY COMPETITION AND SELECTIVITY. *Journal of Economic Surveys*, 27(2), 316–339. <https://doi.org/10.1111/j.1467-6419.2011.00706.x>
- Doucouliafos, H., Hinz, T. and Zigova, K. (2022). Bias and careers: Evidence from the aid effectiveness literature. *European Journal of Political Economy*, 71, 102056. <https://doi.org/10.1016/j.ejpoleco.2021.102056>

- Fidrmuc, J. and Lind, R. (2020). Macroeconomic impact of Basel III: Evidence from a meta-analysis. *Journal of Banking & Finance*, 112, 105359. <https://doi.org/10.1016/j.jbankfin.2018.05.017>
- Frey, B. S. (2003). Publishing as prostitution?—Choosing between one's own ideas and academic success. *Public choice*, 116(1), 205–223. <https://doi.org/10.1023/A:1024208701874>
- Havránek, T., Stanley, T. D., Doucouliagos, H., Bom, P., Geyer-Klingeberg, J., Iwasaki, I., Reed, W. R., Rost, K. and Aert, R. C. M. (2020). REPORTING GUIDELINES FOR META-ANALYSIS IN ECONOMICS. *Journal of Economic Surveys*, 34(3), 469–475. <https://doi.org/10.1111/joes.12363>
- Ioannidis, J. P. A., Stanley, T. D. and Doucouliagos, H. (2017). The Power of Bias in Economics Research. *The Economic Journal*, 127(605), F236–F265. <https://doi.org/10.1111/econj.12461>
- Laidler, D. (1996). Wage and Price Stickiness in Macroeconomics: Historical Perspective. *Monetary Economics in the 1990s*, 92–121. https://doi.org/10.1007/978-1-349-25204-6_6
- Leamer, E. E. (1978). *Specification Searches: Ad Hoc Inference with Nonexperimental Data* (1st ed.). Wiley.
- Martin, C. and Milas, C. (2012). Quantitative easing: a sceptical survey. *Oxford Review of Economic Policy*, 28(4), 750–764. <https://doi.org/10.1093/oxrep/grs029>
- Mumtaz, H. and Theophilopoulou, A. (2020). Monetary policy and wealth inequality over the great recession in the UK. An empirical analysis. *European Economic Review*, 130, 103598. <https://doi.org/10.1016/j.euroecorev.2020.103598>
- Nguyen, T. M. L. (2019). Output Effects of Monetary Policy in Emerging and Developing Countries: Evidence from a Meta-Analysis. *Emerging Markets Finance and Trade*, 56(1), 68–85. <https://doi.org/10.1080/1540496x.2019.1601081>
- Nguyen, T. M. L., Papyrakis, E. and van Bergeijk, P. A. (2021). Publication bias in the price effects of monetary policy: A meta-regression analysis for emerging and developing economies. *International Review of Economics & Finance*, 71, 567–583. <https://doi.org/10.1016/j.iref.2020.09.010>
- Paldam, M. (2018). A model of the representative economist, as researcher and policy advisor. *European Journal of Political Economy*, 54, 5–15. <https://doi.org/10.1016/j.ejpoleco.2018.03.005>
- Romer, C. and Romer, D. (1998). *Monetary Policy and the Well-Being of the Poor*. NBER Working Paper. <https://doi.org/10.3386/w6793>
- Rose, A. K. and Stanley, T. D. (2005). A Meta-Analysis of the Effect of Common Currencies on International Trade*. *Journal of Economic Surveys*, 19(3), 347–365. <https://doi.org/10.1111/j.0950-0804.2005.00251.x>

Rudd, J. and Whelan, K. (2007). Modeling inflation dynamics: A critical review of recent research. *Journal of Money, Credit and Banking*, 39, 155-170. <https://doi.org/10.1111/j.1538-4616.2007.00019.x>

Rusnák, M., Havranek, T. and Horvath, R. (2013). How to solve the price puzzle? A meta-analysis. *Journal of Money, Credit and Banking*, 45(1), 37-70. <https://doi.org/10.1111/j.1538-4616.2012.00561.x>

Stock, J. H. and Watson, M. W. (2008). Phillips curve inflation forecasts.

Taylor, J. B. (1993). Discretion versus policy rules in practice. *Carnegie-Rochester Conference Series on Public Policy*, 39, 195–214. [https://doi.org/10.1016/0167-2231\(93\)90009-l](https://doi.org/10.1016/0167-2231(93)90009-l)

Tullock, G. (1959). Publication Decisions and Tests of Significance—A Comment. *Journal of the American Statistical Association*, 54(287), 593–593. <https://doi.org/10.1080/01621459.1959.10501522>

Tvalodze, S., Mkhatrihvili, S., Mdivnishvili, T., Tutberidze, D. and Zedgenidze, Z. (2016). *The National Bank of Georgia's Forecasting and Policy Analysis System* (No. 01/2016). National Bank of Georgia.